საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/87877
18/08/2015

87877-07-02-2-201508181454

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 10 აგვისტოს №07-02/84811 წერილზე დამატებით გაცნობებთ, რომ 2015 წლის 7 აგვისტოს საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის ხელმოწერილ „რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი"-ს სასესხო ხელშეკრულების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენნი და მომხსენებლები ვიქნებით პირადად მე და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ბატონი გიორგი კაკაურიძე.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/84811
10/08/2015

84811-07-02-2-201508101740

სასწრაფო

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

გიგზავნით დეპონირებისა და ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად 2015 წლის 7 აგვისტოს საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის ხელმოწერილ „რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი"-ს სასესხო ხელშეკრულების ორიგინალს ინგლისურ ენაზე მის ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად.

სასესხო ხელშეკრულება 2015 წლის 7 აგვისტოს საქართველოს მხრიდან ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ბატონ ნოდარ ხადურის მიერ, ხოლო მსოფლიო ბანკის მხრიდან საქართველოში მსოფლიო ბანკის ოფისის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ბატონი იოსებ მელითაურის მიერ.

დანართი:

1. საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის გაფორმებული „რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი"-ს სასესხო ხელშეკრულების ორიგინალი ინგლისურ ენაზე მის ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად;
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №1641 განკარგულების ასლი;
3. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 30 ივლისის №308 ბრძანების ასლი;
4. შესაბამისი უწყებების წერილების ასლები;
5. შეთანხმების ფურცელი;
6. განმარტებითი ბარათი.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge